პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 180 (19621) ◆ ოთხშაბათი, 6 აგვისტო, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „მეთორმეტე ხუთწლედში ქვეყნის მარცვლეულის მეურნეობის სტაბილურობის გაზრდისა და პურეულ-ფურაჟის რესურსების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ახლანდელ პირობებში მარცვლეულის პრობლემის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა განუზომლად იზრდება. ეს პრობლემა, რომელიც საკვანძოა სასურსათო კომპლექსში, განსაზღვრავს წარმატებას პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული იმ ამოცანის გადაწყვეტაში, რომ მოკლე ვადაში მთლიანად უზრუნველვყოთ ქვეყანა სურსათით.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში ხორციელდება, ხელი შეუწყო მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციას, მარცვლეულის მეურნეობის სტაბილურობის ერთგვარ გაზრდას, შემცირებულ პროდუქციის წარმოების გადიდებას.

ამავე დროს მიღებული მთლიანი მოსავალი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოთხოვნილებას მარცვლეულზე. ცილის მიზედვით საკვების შეუწონასწორებლობის შედეგად ურიგდებიან მარცვალ-ფურაჟის მნიშვნელოვან გადახარჯვას, რაც ზრდის მარცვლეულის დეფიციტს. ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა ნაწილში მკვიდრდება სხვისი მოიმედეობის განწყობილებანი, მისწრაფება მიიღონ მარცვლეული სათესლე მიზნით და მეცხოველეობისთვის სახელმწიფო რესურსებიდან.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვი და მისი ადგილობრივი ორგანოები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები არ ეწევიან ეფექტიან მუშაობას, რათა რაციონალურად გამოიყენონ მარცვლეული, ცვლიან მას ეკონომიისთვის ზოგადი მოწოდებებით. სსრ კავშირის პუროპროდუქტების სამინისტრო სუსტ გავლენას ახდენს დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაზე, ურიგდება დაბალი ხარისხის პურფფუ-თუშეულის, მაკარონეულის, აგრეთვე კომბინირებული საკვების გამოშვების საწარმოებში, მარცვლეულის დანაკარგებს გადამუშავებისა და შენახვის დროს. ამას და მსგავს ნეგატიურ მოვლენებს პრინციპულ შეფასებას არ აძლევენ პარტიულ კომიტეტებშიც.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი უნდა განიხილონ ელ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, აგროსამრეწველო კომპლექსისა და მასთან დაკავშირებული დარგების შრომითმა კოლექტივებმა, რათა მკვეთრად შეცვალონ მდგომარეობა, მიაღწიონ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების დაჩქარებასა და სტაბილურობის ამაღლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრული აგრარული პოლიტიკა, სოფლად ახალი ეკონომიკური ურთიერთობა, აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის შენარჩუნის სრულყოფა, მარცვლეულის შესყიდვის სტაბილური გეგმები, ბუნებრივი ეკონომიკა და დამოუკიდებლობის განვითარებასთან ერთად ხელშემწყობ პირობებს უქმნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას და სრულად უნდა გამოიყენონ დადგენილი მატერიალური სტიმულებისა და წამახალისებელი ღონისძიებების საფუძველზე მეურნეობათა ის შესაძლებლობანი, რომ უზრუნველყონ მარცვლეულის ზეგეგმიური გაყიდვა, განსაკუთრებით ხელსაყრელ წლებში.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული 1987 წლიდან სახელმწიფო გეგმაში ცალკე განისაზღვროს სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულის შესყიდვის მოცულობანი. სსრ კავშირის სახაგრომრეწვა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის პუროპროდუქტების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ აღმასკომებს, სოფლის და რაიონულ აღმასკომებს ყოველმხრივ და კრიტიკულად განიხილონ მარცვლეულის მეურნეობის განვითარების მდგომარეობა თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, რეგიონში, შეიმუშაონ და მეთორმეტე ხუთწლედში განახორციელონ მისი სტაბილურობის მნიშვნელოვანი გაზრდის, საჭირო ხარისხის მარცვლეულის წარმოების ზრდის ქმედითი ღონისძიებანი სასურსათო პროგრამის შესაბამისად. და ამით საამედო საფუძველი შეუქმნან ამ დარგში პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

მარცვლეულის წარმოების განვითარებას მიანიჭონ პრიორიტეტული ხასიათი, თავი მოუყარონ ამ საქონრ მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, მეცნიერთა ძალებს, უზრუნველყონ ინტენსიური ტექნოლოგიების ფართო დანერგვა, მიაღწიონ სახელმწიფო. ბეღლებში დაგეგმილი მოცულობის მარცვლეულს, სამარცვლე პარკოსანი და ბუჭულეულ კულტურების გარანტირებულ დაბინავებას. მარცვალფურაჟზე შიდასამეურნეო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ძირითადად საკუთარი წარმოების ხარჯზე. განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ამოცანაა ის, რომ თითოეულმა მეურნეობამ, რაიონმა, ოლქმა, მხარემ და რესპუბლიკამ შეასრულონ მიმდინარე ხუთწლედისათვის დადგენილი პურის დამზადების სტაბილური გეგმები.

მარცვლეულის მეურნეობის შემდგომი განვითარება უნდა უზრუნველვყოთ მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის ყოველნაირი დაჩქარების, მისი გაძღოლის შემუშავებული, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების თანამიმდევრული ათვისების, ნიადაგების ნაყოფიერების ზრდის, ეროზიასწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის შესრულების, საანეულო ნაკვეთის ეფექტიანობის გადიდების, დარგში უკვე შექმნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების არსებითი გაუმჯობესების გზით. აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა ქვეგანაყოფში უნდა განხორციელდეს მარცვლეულის წარმოების ყველა სტადიაში და განსაკუთრებით აღების, შენახვის, გადამუშავებისა და ტრანსპორტირების დროს მისი დანაკარგების თავიდან აცილების ეფექტიანი ღონისძიებანი. უნდა გავაძლიერით ყურადღება ქვეყნის პურეულის რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განსაკუთრებით გაუსვეს ხაზი, რომ დაბანდებული სახსრების დიდ უკუგებას, როგორც მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის პრაქტიკა მოწმობს, ყველაზე კარგად უზრუნველვყოფთ იმ საფუძველზე, რომ სრულად ავითვისოთ სამეურნეო ანგარიში და დავნერგოთ კოლექტიური იჯარა, გავაძლიერით რგოლებსა და სხვა საწარმოო ქვეგანაყოფებში ყველა მომუშავის მატერიალური დაინტერესება საუკეთესო შედეგების მიღწევით ინტენსიური ტექნოლოგიების საფუძველზე მარცვლეული კულტურების თესვა-მოყვანის დროს. პარტიულმა, საბჭოთა და და აგროსამრეწველო ორგანოებმა ღრმად უნდა შეისწავლონ იმ საუკეთესო შრომითი კოლექტივების გამოცდილება, რომლებმაც დიდ შედეგებს მიაღწიეს ინტენსიური ტექნოლოგიების ათვისებაში, მათ ბაზაზე მოაწყონ მექანიზატორთა, მერგოლუთთა, ბრიგადიერთა და სპეციალისტთა, მეურნეობების ხელმძღვანელთა სწავლება, რათა თითოეული მათგანი ღრმად დაეუფლოს მარცვლეულის წარმოების ინტენსიფიკაციის ყველა ტექნოლოგიურ ხერხს.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა სახელმწიფო პურის რესურსების გადიდებისა და საჭირო რეზერვების შექმნის მიზნით ფართოდ უნდა გამოიყენონ დადგენილი მატერიალური სტიმულებისა და წამახალისებელი ღონისძიებების საფუძველზე მეურნეობათა ის შესაძლებლობანი, რომ უზრუნველყონ მარცვლეულის ზეგეგმიური გაყიდვა, განსაკუთრებით ხელსაყრელ წლებში.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული 1987 წლიდან სახელმწიფო გეგმაში ცალკე განისაზღვროს სასურსათო და საფურაჟე მარცვლეულის შესყიდვის მოცულობანი. სსრ კავშირის სახაგრომრეწვა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ, სსრ კავშირის პუროპროდუქტების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ კულტურების მიზედვით მარცვლეულის შესყიდვათა დამკვიდრებული განლაგება, შეიტანონ ეკონომიკურად დასაბუთებული ცვლილებანი შესაქმნელი სახელმწიფო პურეულ-ფურაჟის რესურსების სტრუქტურაში. რეგიონებს ბიოკლიმატიკურ შესაძლებლობათა ყველაზე რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით. სახელმწიფოსათვის საჭირო კულტურების მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური სტიმულირებისათვის უნდა განხორციელდეს ზონალური შესასყიდი ფასების უფრო ღრმა დიფერენციაცია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიწონეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემუშავებული და სსრ კავშირის სახაგრომრეწვისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მიმდინარე ხუთწლედში გაიზარდოს ინტენსიური ტექნოლოგიებით მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ფართობები 50,4 მილიონ ჰექტარამდე, აქედან საშემოდგომო კულტურებისა — 20,6 მილიონ, საგაზაფხულო ხორბლისა — 17,1 მილიონ, სიმინდისა — 4,5 მილიონ, სამარცვლე პარკოსანი კულტურებისა — 2,7 მილიონ, ბრინჯისა — 0,6 მილიონ, ფეტვისა — 1,6 მილიონ, წიწიბურასა — 0,8 მილიონ, სხვა საგაზაფხულო კულტურებისა — 2,6 მილიონ ჰექტარამდე.

ანიჭებენ რა უაღრესად დიდ მნიშვნელობას მარცვალფურაჟის რესურსების გადიდებაში სიმინდის წარმოებას, მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების წინადადებანი, რომ შეიქმნას ამ კულტურის მარცვლეულის გარანტირებული წარმოების ზონები, ამასთან გამოიყენონ შუა აზიაში, სამხრეთ უკრაინასა და აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში ხუთწლედისთვის გათვალისწინებული სარწყავი მიწების მატება, რათა მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისთვის სიმინდის მარცვლის მთლიანი მოსავალი გაადიდონ 22 მილიონ ტონამდე.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო აღმასკომებს დაევალათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მათი ფილიალების, საცდელი სადგურებისა და მოწინავე მეურნეობების ბაზაზე შექმნან სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო სისტემები ოლქის, მხარის, რესპუბლიკის თითოეული ბუნებრივ-კლიმატური ზონისთვის, რათა უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სავარცვლე კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების პრაქტიკული დანერგვა. მათს განკარგულებაში თავი მოუყარონ მინერალურ სასუქებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. დააკისრონ მათ პირველადი მეთესლეობა და პერსპექტიული ჯიშების გამრავლება, ტექნოლოგიების სრულყოფა, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება სახელმწიფოებრივ საწყისებზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ ერთი თვის ვადაში უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო სისტემების სანიმუშო დებულება, ამასთან მხედველობაში მიიღოს, რომ ამ მუშაობაში ჩაებას მეცნიერი მუშაკები და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, ამასთან გაითვალისწინოს საბოლოო შედეგებით მათი დაინტერესების გადიდების ღონისძიებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ, სსრ კავშირის სახმომარაგებამ, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრომ, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, მეცხოველეობისა და საკვებწარმოების მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის პუროპროდუქტების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ კულტურების მიზედვით მარცვლეულის შესყიდვათა დამკვიდრებული განლაგება, შეიტანონ ეკონომიკურად დასაბუთებული ცვლილებანი შესაქმნელი სახელმწიფო პურეულ-ფურაჟის რესურსების სტრუქტურაში. რეგიონებს ბიოკლიმატიკურ შესაძლებლობათა ყველაზე რაციონალური გამოყენების გათვალისწინებით. სახელმწიფოსათვის საჭირო კულტურების მარცვლეულის წარმოების ეკონომიკური სტიმულირებისათვის უნდა განხორციელდეს ზონალური შესასყიდი ფასების უფრო ღრმა დიფერენციაცია.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიწონეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემუშავებული და სსრ კავშირის სახაგრომრეწვისა და საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მიმდინარე ხუთწლედში გაიზარდოს ინტენსიური ტექნოლოგიებით მარცვლეული კულტურების მოვლა-მოყვანის ფართობები 50,4 მილიონ ჰექტარამდე, აქედან საშემოდგომო კულტურებისა — 20,6 მილიონ, საგაზაფხულო ხორბლისა — 17,1 მილიონ, სიმინდისა — 4,5 მილიონ, სამარცვლე პარკოსანი კულტურებისა — 2,7 მილიონ, ბრინჯისა — 0,6 მილიონ, ფეტვისა — 1,6 მილიონ, წიწიბურასა — 0,8 მილიონ, სხვა საგაზაფხულო კულტურებისა — 2,6 მილიონ ჰექტარამდე.

ანიჭებენ რა უაღრესად დიდ მნიშვნელობას მარცვალფურაჟის რესურსების გადიდებაში სიმინდის წარმოებას, მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების წინადადებანი, რომ შეიქმნას ამ კულტურის მარცვლეულის გარანტირებული წარმოების ზონები, ამასთან გამოიყენონ შუა აზიაში, სამხრეთ უკრაინასა და აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ვოლგისპირეთში ხუთწლედისთვის გათვალისწინებული სარწყავი მიწების მატება, რათა მეთორმეტე ხუთწლედის დამლევისთვის სიმინდის მარცვლის მთლიანი მოსავალი გაადიდონ 22 მილიონ ტონამდე.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვს, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო აღმასკომებს დაევალათ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, მათი ფილიალების, საცდელი სადგურებისა და მოწინავე მეურნეობების ბაზაზე შექმნან სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო სისტემები ოლქის, მხარის, რესპუბლიკის თითოეული ბუნებრივ-კლიმატური ზონისთვის, რათა უზრუნველყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სავარცვლე კულტურების მოვლა-მოყვანის ინტენსიური ტექნოლოგიების პრაქტიკული დანერგვა. მათს განკარგულებაში თავი მოუყარონ მინერალურ სასუქებს, მცენარეთა დაცვის საშუალებებსა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს. დააკისრონ მათ პირველადი მეთესლეობა და პერსპექტიული ჯიშების გამრავლება, ტექნოლოგიების სრულყოფა, მიწათმოქმედების ინტენსიფიკაციის პროექტების შემუშავება და მათი განხორციელება სახელმწიფოებრივ საწყისებზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვამ, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა დროულად მიიწოდონ სოფლის მეურნეობას მინერალური სასუქები 1987-1990 წლების მოსავლის სამარცვლე კულტურების ნათესებში შესათანად. ყოველწლიურად გაითვალისწინონ საერთო ფონდების ხარჯზე სრული მოთხოვნილებით მინერალური სასუქების მიწოდება საშემოდგომო მარცვლეულის ნათესებში და საგაზაფხულო კულტურების ადრეული ანეულებში შესატანად, რომელთა მოვლა-მოყვანა ხდება ინტენსიური ტექნოლოგიებით.

(დასასრული 10-ე გვ.).

საძმეთ გამოარჩინა

კომკავშირელი გეჯითი გარჯის მაგალითს იძლევა

სამხრეთ ოსეთში ავდარმა და სიცივემ თითქმის ორი კვირით შეაფერხა თავთავიანი კულტურების დამწიფება.

ოლქში საშემოდგომო ქერის აღებას მომზადებული შეხვდნენ ცხინვალის რაიონის ერედვის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. ოთხი კომპლექსურ-მექანიზებული რგოლი იღებს მარცვლეულს, წნეხავს ბზეს. საგემო დავალებებით გათვალისწინებულზე 12-15 ცენტნერით მეტს ლეწავენ.

სურათებზე: ქერის აღება ერედვის საბჭოთა მეურნეობაში; ემზარ რომელაშვილი ახლახან დაბრუნდა საბჭოთა არმიის რიგებიდან. ამ დღეებში კომკავშირული მძღოლი დიდნაყოფიერი შრომის მაგალითს უჩვენებს.

ლ. გუსოვის ფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიიღო ირანის წარმომადგენელი

4 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო ირანის ისლამური რესპუბლიკის წარმომადგენელი, ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მოჰამედ ჯავად ლარიჯანი.

ირანელმა სტუმარმა ა. ა. გრომიკოს გადასცა ირანის ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტის სეიედ ალი ჰამენეის წერილი, რომელიც ნათქვამია, რომ ირანის ხელმძღვანელობას სურს განავითაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

ა. ა. გრომიკომ მადლობა გადაიხადა წერილისათვის და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ირანთან კარგი ურთიერთობის მომხრეა, იღვწის მისი განვითარებისათვის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ დარგებში. თუ ირანი მშვიდობისა და ბირთვული საფრთხის აღმოფხვრის პოზიციაზე იდგება, შაშინ ეს პერსპექტივაში კიდევ უფრო მეტად გააფართოებს ჩვენი ქვეყნების თანამშრომლობის შესაძლებლობებს. საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფასა და აზია-წყნარიოკეანის რაიონის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანამოქმედების მოგვარებას ისახავს მიზნად ახალი საბჭოთა წინადადებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა 1986 წლის 28 ივლისს ვლადივოსტოკში წარმოთქმულ სიტყვაში.

საუბრის დროს განიხილეს ირან-ერაყის ომის პრობლემა. ა. ა. გრომიკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე მხარე გონივრულად მოიქცევა, თუ ომს შეწყვიტს და მოლაპარაკებას შეუდგება.

— ერთი დღის ომი, — თქვა ა. ა. გრომიკომ, — უარესია, ვიდრე სამი წლის მოლაპარაკება. მოვლენების მშვიდობიან დამთავრებას უნდა დაეთმოს ძირითადი ყურადღება, ხოლო ყოველივე დანარჩენი ამ ამოცანას დაექვემდებაროს.

დასასრულ საბჭოთა მხარის წარმომადგენელმა განაცხადა:

— თქვენ აქ ესაუბრებით იმ მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენელს, რომელსაც სურს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ირანთან ისევე, როგორც ყველა სხვა ქვეყანასთან. (საკმესი).

გაიმართა პარტაქტივის კრება

4 აგვისტოს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის პარტიული აქტივის კრება. კრებაზე განიხილეს კოლექტივის ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია „სახალხო დეპუტატთა საბჭოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციისათვის.

კრებაზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ. (საკმესი).

თბილისი

თბილისის ეკონომიკის ყველა სფეროსა და დარგის დაჩქარებული განვითარება, მისი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გათვალისწინებულია ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე ხუთწლედის. სახელმწიფო გეგმით. იგი განიხილეს და დამტკიცეს თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე.

მომხსენებელმა—თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ზ. შ. მესხიშვილმა, ორატორებმა ხაზი გაუსვეს რესპუბლიკის დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის შემდგომი განვითარების 1986-1990 წლების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ადგენილების დიდ მნიშვნელობას, რომლის შესაბამისადაც განსაზღვრულია ქალაქის ცხოვრების გარდაქმნათა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ძირითადი პარამეტრები და ტემპი. მის შეტრიალებულ ეკონომიკურ ბაზაზე ეფუძნება ამოცანა, ამაღლდეს ეფექტიანობა, ეფექტიანი გახდეს ყველა ეკონომიკური ბერკეტი, ეფექტიანი გახდეს ეკონომიკური სტიმულირების სისტემა, ეფექტიანი გახდეს

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

სსრ კავშირის სახაგრომრეწვი, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო, მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრო, ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტრო ვალდებული არიან უზრუნველყონ დადგენილი მოცულობით პესტიციდების წარმოება და სოფლის მეურნეობისათვის მათი მიწოდება. ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ (ამხ. ლისტოვმა) საჭირო ღონისძიებანი უნდა განახორციელოს იმისათვის, რომ მოეწყოს მცენარეთა ზრდის რეგულატორების (ტურის) საჭირო მოცულობით გამოშვება და სსრ კავშირის სახაგრომრეწვისათვის მიწოდება 1987-1990 წლებში. მოიწონეს სტერლიტამაკის საწარმოო გაერთიანება „კაუსტიკის" (ბაშკირთის ასსრ) კოლექტივის ინიციატივა ტურის პრეპარატის წარმოების ორგანიზაციის შესახებ.

აღინიშნა, რომ რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ყაზახეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, კუიბიშევის საოლქო აღმასკომმა, მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრომ და ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, შესაბამისმა სამეწნეო სამინისტროებმა ვერ უზრუნველყვეს მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა მრეწველობის განვითარების, ამ საშუალებების, მათთვის დასამზადებელი ნედლეულის საწარმოო მთელი რიგი სიმძლავრეებისა და საცდელი ბაზების განლაგებისა და მათი მშენებლობისათვის მიწების გამოყოფის დავალებათა შესრულება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს, უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ბაშკირეთის ასსრ, ჩუვაშეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ვოლგოგრადის საოლქო აღმასკომს, კუიბიშევის საოლქო აღმასკომს სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროსთან, ქიმიური მრეწველობის სამინისტროსთან და ნავთობგადამამუშავებელი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროსთან ერთად განიხილონ და ერთი თვის ვადაში გადაწყვიტონ ახალი პესტიციდებისა და მათთვის საჭირო ნედლეულის საწარმოო ობიექტების განლაგების ყველა საკითხი.

მინისტრებს ამხ. ა. გ. პეტრიშჩევს, ვ. ვ. ლისტოვს, ნ. ვ. ლებედევს, ბ. ვ. ბაკინს, ე. პ. სლავსკის, ა. ნ. შჩეპეტილნიკოვს, ვ. ი. რეშეტილოვს, ა. ი. მაიორეცს, ს. ვ. ბაშილოვს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებათა და საწყის მასალათა საწარმოო ობიექტების შენებლობა და ამოქმედება დადგენილ ვადებში.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტს, სკკპ ვოლგოგრადის საოლქო კომიტეტს, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტს, სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტს, სკკპ ჩუვაშეთის საოლქო კომიტეტს დაევალათ სისტემატური კონტროლი გაუწიონ აღნიშნულ დავალებათა შესრულებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტრომ, სახაგრომრეწვმა ერთი თვის ვადაში შემოტანონ წინადადებანი წელიწადში 2 მილიონი ტონა ფოსფორიტიანი ფბვნილის დამატებითი წარმოებისათვის საჭირო სიმძლავრეთა შექმნის თაობაზე.

სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, პურპროდუქტების სამინისტროს, ქიმიური და ნავთობის მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაევალათ 1987-1990 წლებში მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და მოწყობილობის წარმოება, ხოლო სსრ კავშირის სახაგრომრეწვს — მიზნობრივად მიაწოდოს ეს მანქანები და მოწყობილობა მეურნეობებს, რომლებსაც სამარცვლე კულტურები მოჰყავთ ინტენსიური ტექნოლოგიებით, ამასთან შეინარჩუნოს წინათ მიღებული დადგენილებით გათვალისწინებული დარგთაშორისი კოოპერაცია.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმომარაგებამ ამ მიზნებისათვის უნდა გამოყოფ საჭირო მასალები და მაკომპლექტებელი ნაწარმი.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს კოლეგიის ყურადღება მიაპყრეს ინტენსიური ტექნოლოგიებისათვის მექანიზმების წარმოების დაგალებათა შესრულებაში გამოვლენილ უდისციპლინობას. მინისტრს ამხ. ა. ა. ეფეფსკის წინადადება მიეცა ამომწურავი ღონისძიებანი განახორციელოს იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობა უთუოდ და დროულად უზრუნველყონ საჭირო ხარისხის შესაბამისი ტექნიკით და უწინარეს ყოვლისა სრულყოფილი მომსხურებლებით, დამატებითი სასუქების შესატანი მანქანებით, სათესლებით, კომბინირებული აგრეგატებით ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისათვის.

სასუქებისა და პესტიციდების დიდფფექტიანი გამოყენებისათვის აღინიშნული ტექნიკის გადამწყვეტი მნიშვნელობის გათვალისწინებით სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა 1987 წლიდან მოაგვაროს აღნიშნული მანქანების დამზადების ხარისხის არასაუწყებო შეფასება.

არადამაკმაყოფილებლად არის მიჩნეული სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინერალური სასუქების წარმოების სამინისტროს, შავი მეტალურგიის სამინისტროს მუშაობა სოფლის მეურნეობისათვის ხარისხოვანი კირიანი მასალების მიწოდების საქმეში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოსთხოვეს მათ განახორციელონ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ამომწურავი ღონისძიებანი. აღინიშნა, რომ რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში სუსტად იყენებენ ადგილობრივ კარიერებში კირის წარმოების გადიდების არსებულ შესაძლებლობებს.

დადგენილდა, რომ 1988 წლიდან მოაგვაროს ლითონისა და რკინაბეტონის ტეგადობათა წარმოება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტროს კოლეგიას და პირადად მინისტრს ამხ. გ. ს. ზოლოტუხინს დაავალეს განახორციელონ ამომწურავი ღონისძიებანი, რათა რაციონალურად გამოიყენონ პურეულ-ფურაჟის რესურსები, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავებაში, დააჩქარონ დარგის საწარმოთა ტექნიკური განახლება და რეკონსტრუქცია, უზრუნველყონ წარმოებაში უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიების დანერგვა, გაუთჯობესონ ფქვილის, ბურღულეულის, პურფუნთუშეულისა და მაკარონეულის ხარისხი. სსრ კავშირის სტანდარტთა სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრომ, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტმა ორი თვის ვადაში შეიმუშაონ და შემოიღონ ამ პროდუქციის ახალი სახელმწიფო საერთო საკავშირო სტანდარტები, გაითვალისწინონ აგრეთვე მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით შრომითი კოლექტივების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის პურპროდუქტების, სსრ კავშირის შორეული აღმოსავლეთისა და იმიერბაიკალის რაიონებში მშენებლობის, სამრეწველო მშენებლობის, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროები, სსრ კავშირის სახაგრომრეწვი და მთავარმოსკოვმრეწვმშენი ვალდებული არიან დაძლიონ პურპროდუქტების საწარმოთა მშენებლობაში დაშვებული ჩამორჩენა და უზრუნველყონ წისქვილქარხნები, ელევატორებისა და მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების სხვა ობიექტების ამოქმედება 1986 წელს და მომავალ წლებში ზუსტად მეთორმეტე ხუთწლედის გეგმის შესაბამისად. მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს დაევალათ გააძლიერონ კონტროლი ამ საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მიმდინარეობისადმი.

სსრ კავშირის სახაგრომრეწვმა და სსრ კავშირის პურპროდუქტების სამინისტრომ ძირეულად გაუთჯობესონ კომბინირებული საკვების მრეწველობის მუშაობა, გაზარდონ საწარმოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკვების ხარისხისათვის, მათი შწონასწორებისათვის, არ დაუშვან სტანდარტების მოთხოვნების დარღვევა.

დადგენილია, რომ 1986 წლის მოსავლით დაწყებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის იმ მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის მიყიდვისას, რომლებსაც უფრო დიდი ტენიანობა და სარეველების მინარევები აქვთ, ვიდრე გათვალისწინებულია საბაზისო კონდიციებით, ნატურალური ფასჩამოკლების გარდა, აღდევნებენ (საბაზისო კონდიციებზე გადაჭარბებით ყოველი პროცენტი ტენიანობისა და სარეველა-ანობისათვის) მარცვლეულისა და ზეთოვანი კულტურების თესლის შრობისა და წმენდის ფასს ფასდებებთ, რომლებიც განისაზღვრება პურის მიმღები სწარმოების ფაქტობრივი დანახარჯების, აგრეთვე რენტაბელობის ნორმატივის გათვალისწინებით ამ საშუალოთა თვითღირებულების 8 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნულ ფასდებებს ამტკიცებენ ავტონომიური რესპუბლიკების სახაგრომრეწვები, მხარეებისა და ოლქების აგრომრეწვები მხარეების, ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პურპროდუქტების სამმართველოთა წარდგინებით, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებსაც არა აქვთ საოლქო დაყოფა, — ამ რესპუბლიკების სახაგრომრეწვები შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების პურპროდუქტების სამინისტროების წარდგინებით.

საჭირო ცვლილებები და დამატებები შეიტანონ უმაღლესი საწავლებლების, ტექნიკუმების, პროფტექნიკური სასწავლებლების, შესაბამისი კადრების გადამზადების კურსების სასწავლო პროგრამებში. მოაწყონ მეურნეობების, მერგოლურების, ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და აგროსამრეწველო კომიტეტების მუშაკთა სავალდებულო ატესტაცია.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ვალდებულ არიან ფართოდ გამაჯანსაღონ სოციალისტური შეჯიბრება ქვეყნის მიწათმოქმედებს შორის მარცვლეულის მეურნეობის ინტენსიფიკაციისთვის გამოხნული რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მარცვლეულის წარმოებისა და დამზადების გადიდების მიზნით, ამასთან მაქსიმალურად გამოიყენონ აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ახალი ეკონომიკური მექანიზმის პირობები.

* * *

ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოქვეს მტკიცე რწმენა, რომ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, მიაღწევენ მარცვლეულის მეურნეობის სტაბილურობას, გაზრდიან მარცვლეულის მთლიან მოსაკალს და გაუთჯობესებენ მის ხარისხს, წარმატებით შეასრულებენ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმებსა და სოციალისტურ ვალდებულებებს.

კონტროლი სახალხო, ძმედითი

გამოადგებათ თუ არა გაკვეთილი?

გამოთქმა „ავტომობილი ფუფუნების საგანი კი არა, გადაადგილების საშუალებაა" პირდაპირი მნიშვნელობით ესმით საწარმოო სამშენებლო-სამონტაჟო გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენში". მისი ტრანსპორტის მუშაკებს, სამწუხაროდ, ავიწყდებათ, რომ სატვირთო მანქანამ უნდა გადაზიდოს ტვირთი და არ იმოძრაოს ცარიელი ძარით.

უყაირათობა არაორგანიზებულობის შედეგია. ბევრი, ვინც ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე ყოფილა, შეამჩნევდა, რომ ძალიან ხშირად ამ ობიექტების მისასვლელ ტრასებზე დადიან მძლავრი კრაზები, ბელაზები, ზილები, კამაზები, რომლებსაც ბევრი ტვირთის გადაზიდვა ძალუძთ, მაგრამ მათი რესორები არ იზნიქება მძიმე ტვირთით. ეს შენიშნეს სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის მუშაკებმაც და დაინტერესდნენ, რა უჯდება სახელმწიფოს ასეთი ცარიელი „ავტოსეირნობა", თურმე საკმაოდ ძვირი. მაგალითად, № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმომ თავი არ შეიწუხა სამშენებლო მოედანთან შეექმნა დიდტვირთიანი მანქანების ღამის სადგომები. ამის შედეგად ხუთი-ექვსი ავტომობილი ყოველდღიურად გარაჟიდან ვარ-ციხის ჰიდროელექტროსადგურის მშენებარე არხისაკენ ცარიელი დადიოდა დაახლოებით 30 კილომეტრ მანძილზე. მარტო ერთ თვეში ცარიელი გარბენის დროს დაიხარჯა თითქმის 14 ათასი კილოგრამი საწვავი.

ქრონომეტრაჟამ, რომელიც სახალხო კონტროლიორებმა მოაწყვეს აპრილში, ჯავის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს ბაზაში აღრიცხა სამუშაო სურათი: დანიშნულების ადგილას მოსულ 382 ტონა სავრთო ტვირთამფუონის 52 ავტომობილი დატვირთვის მოლოდინში, ამასთან ბევრი ჩართული ძრავი, საშუალოდ 69 წუთს ადგა გათვალისწინებული ოცი წუთის ნაცვლად და გადაზიდა მხოლოდ 232 ტონა ტვირთი. შვიდი მანქანა საერთოდ არ დატვირთულა.

რესურსდაზოგვა მასალებზე, საათობზე, ელექტროენერგიაზე სახალხო მეურნეობის მხარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტი წყაროა,

მაგრამ „საქჰიდროენერგომშენის" სატრანსპორტო ორგანიზაციებში რა მომქმედებაზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ, როცა იქ ტვირთზიდვის ღირებულება გაიზარდა. გაერთიანებაში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ავტომობილების ექსპლოატაციის აღრიცხვა. კონტროლს არ უწევენ საგზაო-სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმებასა და დამუშავებას, ბევრ მანქანაში სპიდომეტრები არ არის დაპლომბილი და მოწესრიგებული, რაც დიდად უწყობს ხელს დარღვევებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ საქმე გამოვსწოროთ? როგორც სახალხო კონტროლიორებს მიაჩნიათ, უფრო ფართოდ უნდა დაინერგოს ბრიგადული იჯარა, რომელიც ადამიანებს დაანტერესებს მათი შრომის საბოლოო შედეგებით, განამტკიცებს დისციპლინას, შეამცირებს წარმოების დანახარჯებს. მომჭირნეობის უდიდეს რეზერვებს შეიცავს საფეტომობილო მისაბმელების ფართო გამოყენებაც, ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოწყობა. ეს რეკომენდაციები აისახა საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შესაბამის დადგენილებაში.

დაუდეგრობასთან, უყაირათობასთან ერთად სახალხო კონტროლიორებმა აღმოაჩინეს მთელი რიგი ფაქტებიც, რომლებსაც იურისტები განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედობას უწოდებენ. კერძოდ, ავტომობილების ცუდ გამოყენებას გაერთიანება „საქჰიდროენერგომშენის" ქვეგანაყოფებში ხშირად ფარაგენ წმამატების გზით. მაგალითად, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოში, მუშათა მომარაგების განყოფილებაში, სამოქალაქო „ბინმშენის" სამშენებლო სამმართველოსა და საგზაო მშენებლობის სამმართველოში მარტო მიმდინარე წლის იანვარში ანგარიშგებაში აჩვენეს 2462 „ქაღალდის" ტონა და 200 ათასზე მეტი ასეთივე ტონა-კილომეტრი, რისთვისაც ზედმეტად ჩამოწერილია 1614 მანეთის 15 ათას ლიტრზე მეტი სათბობი. მძღოლებს კი ზედმეტად გადაუხადეს 1750 მანეთი.

როგორღა მოიქცა ჰიდროენერგომშენებელთა სატრანსპორტო უწყების ხელმძღვანელობა? ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების უფროსს დ. გაგოშიძეს არავითარი ღონისძიებანი არ განუხორციელებია სახელმწიფოს მოტაუუების, თვალის ახვევის აღკვეთისათვის.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მკაცრად დასაჯა ყველა, რომელთა უმოქმედობა, ზოგჯერ კი პირდაპირი წაყრუება, მასალებისა და საწვავის განიავების მიზეზი გახდა.

დრო გვიჩვენებს, გამოადგებათ თუ არა გაკვეთილი იმათ, ვინც უყაირათოდ იქცეოდა...

(საქინფორმი).

სიმძლავრეთა ამოქმედების საიმედო ბერკეტი

კაპიტალური მშენებლობა სოფლად

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილმა დადგენილებამ „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ" დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოახდინა არა მარტო სოციალისტური სოფლის მეურნეობის გაძღოლის საქმეში, არამედ სოფლად კაპიტალური მშენებლობის სტრუქტურისა და ფორმების სფეროშიც. ყოფილი სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმშენის", სხვა სამშენებლო ორგანიზაციებისა და უწყებათა გაერთიანების ბაზაზე მეთორმეტე ხუთწლედის დამდეგიდანვე ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველო, სახელმწიფო-კოოპერაციული მშენებლობის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენი". ვბეჭდავთ საუბარს გაერთიანება „საქაგრომშენის" თავმჯდომარესთან **ი. ხარატიშვილთან.**

კაპიტალური მშენებლობა. ოსებ, თითქმის ორი ათეული წელია, რაც თქვენ სოფლად კაპიტალურ მშენებლობას ხელმძღვანელობთ **რესპუბლიკაში და, რა თქმა უნდა, ამ მხრივ, დიდი გამოცდილება გაქვთ. გთხოვთ „კომუნისტის" მკითხველებს მოუთხროთ იმის შესახებ, თუ რა მატერიალურ-მორალურ საფუძვლებს ემყარება ის კონსტრუქციული გარდაქმნები, რომლებიც რესპუბლიკის სასოფლო მშენებლობის დარგში განხორციელდა და როგორ წარმოგიდგენიათ ამ ცვლილებათა საბოლოო შედეგები?**

უპირველესად ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სოფლად კაპიტალურ მშენებლობაში განხორციელებული ცვლილებები და გარდაქმნები ხელის ერთი დაკვრით არ მომხდარა. ყოველივე ეს სოციალისტური ცხოვრების რთულ მოვლენებზე ხანგრძლივი დაკვირვების, ღრმა მეცნიერული ანალიზისა და ექსპერიმენტული დასაბუთების ნაყოფია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილისა და ოქტომბრის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ", ის უმტკიცესი საყრდენია, რომელზეც დაფუძნა ეს გარდაქმნები.

და აი, ახლა, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ყოფილ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმშენის", სხვა სამშენებლო ორგანიზაციათა გაერთიანების ბაზაზე ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის კაპიტალური მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მთავარი სამმართველო, რესპუბლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული მშენებლობის გაერთიანება „საქაგრომშენი", როცა კაპიტალური მშენებლობის ფორმამ, სტილმა და სტრუქტურამ ძირეულად იცვალა სახე, სოფლის მშენებელთა წინაშე კიდევ უფრო დიდი, კიდევ უფრო პასუხსაგები ამოცანები დაისახა.

ბოდიშს ვიხდი, რომ აზრს გაწყვეტინებთ, მაგრამ ვიდრე „საქაგრომშენის" ამოცანების შესახებ რაიმეს იტყოდეთ, გთხოვთ „კომუნისტის" მკითხველებს უფრო დეტალურად განუმარტოთ საინვესტიციო ციკლის მინიმუმ 2-ჯერ შემცირების არსი და მნიშვნელობა საწარმოთა რეკონსტრუქციისა თუ ახალი ობიექტების მშენებლობის დროს.

ეს საკითხი დიდმნიშვნელოვანი, ამასთან, მეტად მტკივნეული საკითხია კაპიტალურ მშენებლობაში. საინვესტიციო ციკლის შემცირებაზე ამიტომაა გამახვილებული ყურადღება, რომ იგი ორგანულად არის დაკავშირებული კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების, ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმების შესრულებასთან. თუ თვალს გადავავლებთ წინა წლების შედეგებს, დავრწმუნდებით, რომ ინვესტიციური, ანუ ძირითადი ფონდების შექმნის პროცესი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მძიმე ტვირთად აწვებოდა მშენებლობას. რატომ? იმიტომ, რომ ყოველთვის არ სრულდებოდა საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების, ძირითადი ფონდების შექმნის გეგმები.

დაუბრუნდეთ „საქაგრომშენის" გეგმებსა და ამოცანებს. საღლიკური სახელმწიფო-კოოპერაციული მშენებლობის გაერთიანება „საქაგრომშენი" რესპუბლიკაში აწარცოცებს სოფლად აგროსამრეწველო, სოციალურ-კულტურული თუ სხვა სამეურნეო-სამრეწველო დანიშნულების ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, კომპლექტაციისა და გამშვებ-გამმართავი სამუშაოების ერთიან პოლიტიკას. ახლა ასე დგას საკითხი: ჩვენგან მოითხოვენ გადაჭრით, მკცეთრად ავამაღლოთ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი, ყოველი ოინისძიებით შევამცეროთ მშენებლობის ნორმატიული ვადები, რადაც არ უნდა დაჯდეს მივაღწიოთ საწარმოო სიმძლავრეთა დროულ, შეუფერხებელ ამოქმედებას.

ამ ამოცანების შესასრულებლად ჩვენი სამშენებლო-სამრეწველო ორგანიზაციები სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე მთელი მონდომებით ჩაებნენ შრომაში. მეთორმეტე ხუთწლედის პირველ, მიმდინარე წელს „საქაგრომშენმა" უნდა შეასრულოს 430 მილიონი მანეთის საიჯარო სამუშაოები.

ხუთწლედის პირველ წელს დიდი თანხების ათვისებაა დაგეგმილი სასკოლო, სკოლამდელი აღზრდის, პროფტექნიკური განათლების, საავადყოფოების, პოლიკლინიკებისა და სხვა დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

ბატონო იოსებ, ამოცანები და დავალებები, რომლებიც ეს-ეს არის ახსენეთ, რამდენადაც ვიცით, სოფლის მშენებლებისათვის უცხო არ არის, მაგრამ რეორგანიზაციის შემდეგ აგროსამრეწველო კომპლექსის დღევანდელ ვითარებაში რა საშუალებები, რა ფაქტორები გიპყრიათ ხელთ იმისათვის, რომ დასახული ამოცანები, კერძოდ, ხუთწლედის პირველი წლის დავალებები ახალი, გაზრდილი მთოვნელობებით შეასრულოთ?

ჩანს, აუცილებელია ახლოს გავეცნოთ „საქაგრომშენის" შინაგან წყობას, მის სტრუქტურულ აღნაგობას, რაც დაგვეხმარება უკეთ გავერკვეთ მშენებელთა მუშაობაში. ჯერ ერთი, ის უნდა აღინიშნოს, რომ ამ რთული სამშენებლო გაერთიანების ხელმძღვანელობა დაკომპლექტებულია საქმეში ნაცადი, კვალიფიციური კადრებით, რომლებსაც კაპიტალური მშენებლობის, მართვის, დარგობრივი კურირების კარგი გამოცდილება აქვთ. ცხადია, ეს, ცოტას არ ნიშნავს.

მეორეც, „საქაგრომშენში" შედის 14 საერთო სამშენებლო, 6 სამშენებლო-სარემონტო და 3 სპეციალიზებული სამონტაჟო ტრესტი. ისინი განლაგებული არიან რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში, უშუალოდ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა ტერიტორიაზე, სადაც ძირითადად წყდება სასოფლო მშენებლობათა ბედი.

ეს ტრესტები, როგორც წესი, თავიანთ სამოქმედო უბნებზე გენერალური მოჯარეები არიან. ტრესტის ხელმძღვანელებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების დროული ამოქმედებისათვის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შემუშავებული და დამტკიცებული კომპლექსური გრაფიკების მიხედვით შესრულებისათვის. მათ ევალებათ უზრუნველყონ სახელმწიფო კოოპერაციულ მშენებლობაში ჩაბმული ყველა მონაწილე ორგანიზაციის კოორდინაცია.

ამრიგად, სამშენებლო დარგის წარმოებაში ტრესტებს, როგორც იტყვიან, მწვანე გზა აქვთ გახსნილი ნოვატორული, შემოქმედებითი მუშაობისაკენ და ეს მაღალი საწარმოო შედეგების მისაწევად უმნიშვნელო ფაქტორი არ გახლავთ.

ყურადღებას იქცევს ასეთი საკითხიც: ცხობილია, რომ მშენებლობის პროცესში ადგილი ჰქონდა მშენებლებსა და დამკვეთებს შორის დავას, ხშირად — მწვავე წინააღმდეგობებსაც იმის გამო, რომ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტები სისტემატურად გაჭიანდებოდნენ კორექტირებას. წარმოიდგინეთ, ვერც კი დავასახელებ ისეთ დიდმნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობას, რომლის წინასწარ დამტკიცებულ სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო დოკუმენტებს არ განეცადოს ცვლილებები, თანაც ისეთი ცვლილებები, რაც ერთი მხრივ, იწვევდა გაძვირებას, ზედმეტ დანახარჯებს და მეორე მხრივ, ამუხრუჭებდა მშენებლობის ტემპს.

სოფლად მშენებლობაში ახლა ამას ადგილი აღარ ექნება.

„საქაგრომშენის" მუშაობა ემყარება სამეურნეო ანგარიშს. მისი უმაღლესი ორგანოა კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობების, სამშენებლო თუ სხვა სამეურნეო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების წარმომადგენელთა რესპუბლიკური ყრილობა, რომელიც ტარდება არანაკლებ ერთჯერ ხუთ წელიწადში. ყრილობა განიხილავს და ამტკიცებს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქაგრომშენის" ანგარიშს, სარევიზიო კომისიის დასკვნებს გაწეულ მუშაობაზე, სახავს ახალ ამოცანებს და პერსპექტივებს შემდგომი მუშაობისათვის, განიხილავს სამეურნეობათაშორისო მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ პრობლემებს რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში.

„საქაგრომშენის" სისტემაში შექმნილია და სრული დატვირთვით მუშაობენ ისეთი მსხვილი სამშენებლო დანაყოფები, როგორიცაა ტრესტები: „საქაგრომშენინდუსტრია", „საქაგრომშენმასალები", „საქაგრომშენკომპლექტი", გაერთიანებები: „საქაგრომშენდეტალი" და „საქაგრომშენტრანსი". ტრესტმა „საქაგრომშენინდუსტრიამ" გეგმით, წლიურად უნდა აწარმოოს 20,8 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, უზრუნველყოს 217 ათასი კუბმეტრი რკინაბეტონის ანაკრები და 22 ათასი კუბმეტრი მსხვილი საკედლე ბლოკი.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს უშუალო დახმარებითა და ხელმძღვანელობით სოფლის მშენებლები, როგორც ყოველთვის, კვლავაც თვალსაჩინო წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღმავლობისთვის გაჩაღებულ საერთო-სახალხო შრომაში, პირნათლად გაანაღდებენ იმ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებებით.

საუბარი ჩაიწერა

ბ. ბოგველიშვილმა.

რაზმი „მედეა - 86"

ასი გოგონა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტები, ყოველდღიურად შრომობს მახარაძის რაიონის ნარუჯის აგროსამრეწველო კომბინატის ჩაის პლანტაციებში. „მედეა-86" — ასე უწოდეს მომავალმა მედიკოსებმა თავიანთ სტუდენტურ რაზმს, რომელიც ყოველდღიურად ასობით კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფს.

შრომითი სემესტრის განმავლობაში, გოგონები მოკრეფენ და მიმღებ პუნქტებში ჩაბარებენ 33 ტონაზე მეტ ნედლეულს.

სამუშაოდან თავისუფალ დროს „მედეა-86" ისვენებს, ეცნობა მხარის ღირსშესანიშნაობებს, აწყობს კონცერტებს.

სურათებზე: „მედეა-86" სტუდენტური რაზმის წევრები ჩაის პლანტაციებისაკენ მიეშურებიან; დაახლოებით 25 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს ყოველდღიურად პედიატრიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი მარინე ელიზბარაშვილი.

ზ. სამსონიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ინტერნაციონალური ბანაკის „მეგობრობა-86"-ის სტუდენტები ახლა ჩაის მარტო გემოთი როდი იცნობენ. ნარაზენის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობაში გატარებული ერთი თვის მანძილზე მათ იგრძნეს იმ პროფესიის „გემო", რომელსაც აქაურ პლანტაციებში ითვისებენ.

მიიწურა თბილისელი სტუდენტებისა და მათი საზღვარგარეთელი თანატოლების — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის და იუგოსლავიის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების შრომითი სემესტრის დღეები. ისინი ხომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა ძმადნაფიცები არიან. ჯამდება ჩაის ფოთლის კრეფისას მათი მუშაობის შედეგები. ერთი კვირის მანძილზე საუკეთესო შედეგი აქვს იენის ფრედრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა რაზმს „მზიურ ახალგაზრდებს". ზოგიერთი მთგანი დღეში 28 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. დამწყებთათვის შესანიშნავი შედეგია.

...ანდრეა შუტცი თავისი ფარ-თოფფარფლიანი ჩალის ქუდით საბჭოთა მეურნეობის მუშა ქალს ჰგავს. ახალგაზრდა ფილოლ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲜᲕᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ დაცვა და გაკაუება, ხაზგასმით აღინიშნა სკკ XXVII ყრილობაზე, უპირველესი მნიშვნელობის საკმეა. ამაზე დამოკიდებული მრავალი მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანის წარმატებული შესრულება. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ უზრუნველყოთ მოსახლეობა მაღალკვალიფიციური სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარებით, რასთანაც უშუალოდ არის დაკავშირებული ექიმთა მომზადების ხარისხი.

ვის და როგორ ვამზადებთ ექიმის მაღალი წოდებისათვის? საქონფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ეასხუხათ ამ კითხვაზე ორი უდიდესი სამეცნიერო ცენტრის და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებს, სადაც თავიანთ პრაქტიკულ ჩვევებს ავლენენ ახალგაზრდა სპეციალისტები და სადაც მათ ამზადებენ.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:

— სამწუხაროდ, მეტი წილი ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ჩვენთან იწყებენ მუშაობას, არ არიან შესაბამისად მომზადებული, არა აქვთ სათანადო დონის ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. ისინი არ არიან მზად იმისათვის, რომ აითვისონ დიაგნოსტიკის თანამედროვე მეთოდები, აგრეთვე გამოიყენონ უახლესი აპარატურა. ვფიქრობ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტმა უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშიროს სტუდენტები კლინიკურ ბაზებს.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:

— უმაღლეს სამედიცინო სკოლასა და კლინიკას შორის ინტეგრაციის გაღრმავება სასიკეთო პირობებს ქმნის მომავალი ექიმების მომზადებისათვის. სამედიცინო ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გასაუმჯობესებელია. ვფიქრობ, სტუდენტი უკვე მესამე და მეოთხე კურსებზე უნდა ეუფლებოდეს თანამედროვე აპარატურას, ისმენდეს პრაქტიკოსთა ლექციებს, ესწრებოდეს ოპერაციებს. ჩვენი მხრივ, მზად ვართ საჭირო დახმარება გავუწიოთ მათ.

გაიცნო რა ორი სპეციალისტის აზრი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორს სასწავლო მუშაობის დარგში პროფესორ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲗᲐᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ, კორესპონდენტმა სთხოვა მას ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— თქვენი ინსტიტუტი ყოველწლიურად უშვებს დაახლოებით 1000 დიპლომიან სპეციალისტს, რომლებსაც მუშაობის დაწყებისას უნდა შეეძლოთ დასვან კვალიფიციური დიაგნოზი და უმკურნალონ ავადმყოფებს. ეს თეორიულად. მაგრამ პრაქტიკა საწინააღმდეგოს ცხადყოფს — რაოდენობა ყოველთვის არ შეესაბამება ხარისხს.

— სკკ ცენტრალური კომიტეტის პროექტში ზაზგასმულია, რომ სათანადო კლინიკური მომზადება არა აქვთ უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს. მართლაც, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ, რომ ბევრი სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელს თითქოს ინერციით ამთავრებს. მომთხოვნელობა მისაღები გამოცდებისადმი გაიზარდა, სწავლის ხარისხი კი ჯერ კიდევ არ არის სათანადო სიმაღლეზე.

ჩვენ შევიმუშავეთ წინადადებანი, რომლებიც, ვფიქრობ, დგვეხმარება ობიექტურად შევაფასოთ სტუდენტთა ცოდნა და შესაბამისად გახეხარიცეოოთ ყველაზე მკაცრი ღონისძიებანი იმათ წინააღმდეგ, ვისაც არ სურს სწავლა, გახეხაროთ კიდეც. რა დასამალია, ხშირად მასწავლებელი იძულებულია სუსტი პასუხი სამზე შეფასოს, ეს კი, არსებითად, შენიღბული ორიანია. და ასეთი სტუდენტი შემდგომში ექიმის წოდებას იღებს!

— რა მიმართულებით წარიმართება სასწავლო პროცესის გარდაქმნა?

— მომდინარე წლიდან გაუქმდება მასწავლებელთა რაოდენობის დამოკიდებულება გარიცხულ სუსტდენტთა რიცხვზე. შესაძლებელი იქნება შტატების განსაზღვრა მიღების გეგმების საფუძველზე. შესაბამისად შეიზღუდება სტუდენტთა რიცხვი, რომელიც მოდის ერთ პედაგოგზე როგორც კლინიკური დისციპლინების მიხედვით, ისე აკადემიურ ჯგუფებში. ეს ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მომზადების დონის ამაღლებას. ჩვენ აგრეთვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მეტი უფლება მივანიჭოთ კათედრებს ლექციების, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობის საათების განსაზღვრაში მოქმედი სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით განსაზღვრულ ფარგლებში.

ცოტა საათია გამოყოფილი კლინიკური დისციპლინებისათვის, კერძოდ, თერაპიისათვის. ჩვენ ზომ ძირითადად თერაპევტებს, ესე იგი, უბნის ექიმებს ვუშვებთ.

წინადადებას ვაყენებთ სკკ ცენტრალური კომიტეტის პროექტში შევიტანოთ დებულება იმის შესახებ, რომ ასპირანტურაში სწავლის ხანგრძლივობა გაიზარდოს 4 წლამდე, ორდინატურაში — 3 წლამდე. ეს ხელს შეუწყობს სპეციალისტთა უფრო ხარისხიან მომზადებას.

სამედიცინო-ბიოლოგიური და კლინიკური დისციპლინების სწავლებაში მჭიდრო ურთიერთობის უზრუნველყოფისათვის დაისვა საკითხი ინსტიტუტში სამედიცინო-ბიოლოგიური ფაკულტეტის შექმნის შესახებ. გარდა ამისა, ბევრ გადასასვლელ გამოცდას

ᲰᲘᲞᲝᲙᲠᲐᲢᲔᲡ ᲤᲘᲪᲝᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ...

სოთ სტუდენტთა ცოდნა და შესაბამისად გახეხარიცეოოთ ყველაზე მკაცრი ღონისძიებანი იმათ წინააღმდეგ, ვისაც არ სურს სწავლა, გახეხაროთ კიდეც. რა დასამალია, ხშირად მასწავლებელი იძულებულია სუსტი პასუხი სამზე შეფასოს, ეს კი, არსებითად, შენიღბული ორიანია. და ასეთი სტუდენტი შემდგომში ექიმის წოდებას იღებს!

— რა მიმართულებით წარიმართება სასწავლო პროცესის გარდაქმნა?

— მომდინარე წლიდან გაუქმდება მასწავლებელთა რაოდენობის დამოკიდებულება გარიცხულ სუსტდენტთა რიცხვზე. შესაძლებელი იქნება შტატების განსაზღვრა მიღების გეგმების საფუძველზე. შესაბამისად შეიზღუდება სტუდენტთა რიცხვი, რომელიც მოდის ერთ პედაგოგზე როგორც კლინიკური დისციპლინების მიხედვით, ისე აკადემიურ ჯგუფებში. ეს ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მომზადების დონის ამაღლებას. ჩვენ აგრეთვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ორ-ᲡᲐᲛ ᲬᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ შემდგარი მოთხოვნები. მაშინ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებით ჯარისკაცთა შორის დიდ პროპაგანდისტულ და ორგანიზაციულ მუშაობას ხელმძღვანელობდა ი. რიჟინაშვილი.

სწორედ მისი ინიციატივით ქუთაისის გარნიზონის ჯარისკაცებმა რამდენჯერმე მოაწყვეს მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია და მიტინგი. 1905 წლის დეკემბერში მოსკოვის პროლეტარიატმა ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების დროშა აღმართა. მოსკოვის აჯანყებამ მძლავრი ბიძგი მისცა რევოლუციური ბრძოლის შემდგომ აღმავლობას საქართველოში. დეკემბრის დღეებში ქუთაისის ბოლშევიკურ კლუბში (წოთელ ხიდთან) გაიმართა კრება, რომელზეც იცკამ წამოაყენა რეაქციის წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების შესახებ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ქუთაისის მშრომელებმა და ჯარის ნაწილებმა აღმართეს ბარიკადები, განიიარაღეს პოლიცია, ქალაქი ფაქტობრივად აჯანყებულთა ხელში გადავიდა,

რევოლუციური ხანძრის ჩასაქრობად მეფის ხელისუფლებამ ქუთაისში გამოგზავნა კაზაკთა დამსჯელი არმია გენერალ-ლეიტენანტ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით, რომელმაც 1906 წლის 11 იანვარს ქალაქი ცეცხლის ალში გახვია. სხვებთან ერთად იცკაც დაუპატიმრეს, მაგრამ საპყრობილიდან გაქცევა მოახერხა. იგი ექვს თანამოაზრესთან ერთად კანონგარეშე გამოაცხადეს. ამიტომ მას ქუთაისში დარჩენა უკვე აღარ შეეძლო. იგი სხვა ამხანაგებთან ერთად 1906 წლის დამდეგს პაკელ იოსელიანის საბელზე გაკეთებული პასპორტით გაემგზავრა სევასტოპოლში. შემდეგ კი ცხოვრობდა რუსეთში. აქ იგი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა მარქსისტულ წრეებს, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო 1906 წლის ზაფხულში ქუთაისში დაბრუნდა, სადაც განაგრძო იატაკქვეშა მუშაობა. პოლიციის აგენტებმა შეიტყვეს მისი ქუთაისში დაბრუნება და დაუწყეს თვალთვალი.

ამის გამო იცკამ კვლავ გერმანიაში წასვლა და სწავლის განგრძობა გადაწყვიტა. 1906 წლის 17 ივლისს იგი სახლიდან გამოვიდა, რათა მეგობრებს გამომშვიდობებოდა. ამით ისარგებლეს პოლიციის აგენტებმა და სიცოცხლეს გამოასალმეს. ასე ტრაგიკულად დასრულდა მისი ხანმოკლე სიცოცხლე, შეწყდა გულისცემა მგზნებარე ინტერნაციონალისტი რევოლუციონერისა, რომლის ცხოვრების მთავარი მიზანი ყველა ერისა და ეროვნების მშრომელი ხალხის ნათელი მერმისისათვის, კომუნიზმის დიადი იდეალების გამარჯვებისა თ ვ ი ს ბრძოლა იყო.

მ. ᲑᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

Ა. ᲠᲘᲫᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡ-ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

1987 წლის აპრილში მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე დაიდგა გერეელ ბააზოვის პიესა „იცკა რიჟინაშვილი“, რომელიც რეალურ ამბებს ასახავდა და მისი მოქმედების სცენები უმთავრესად ქუთაისის რევოლუციური მოძრაობის ფონზე იშლებოდა. გერეელ ბააზოვი თავისი პიესისათვის მასალებს ძირითადად ქუთაისში აგროვებდა, „ყურებდა როგორც არქივს, ისე იცკას ნათესავ-ნაცნობების მოგონებებს. მას დიდი დახმარება გაუწია ქუთაისში მცხოვრებმა იცკას დამ ალექსანდრა (საშა) რიჟინაშვილმა, რომელიც მაშინ ტრიკოტაჟის ფაბრიკის დირექტორად მუშაობდა.

ვინ იყო აბრამ (პარტიული მეტსახელი „იცკა“) რიჟინაშვილი, რომელსაც ესოდენ გახმაურებული თეატრალური დადგმა მიუძღვნა მარჯანიშვილის თეატრმა? იგი გახლდათ პროფესიონალი რევოლუციონერი, მარქსიზმის იდეების დაუცხრომელი და ერთგული პროპაგანდისტი, ცარიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში.

აბრამ რიჟინაშვილი დაიბადა 1886 წლის 30 იანვარს ქ. ქუთაისში. რეალურ სასწავლებელში სწავლისას მან თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა და განათლებულმა მოწაფემ, ყველა საგანს საფუძვლიანად სწავლობდა, მაგრამ განსაკუთრებით გულმოდგინედ კითხულობდა სკოლისგარეშე ლიტერატურას, დიდ ინტერესს ავლენდა საზოგადოებრივი მეცნიერებისადმი. იგი ვერ ეგუებოდა სასწავლებელში გამეფებულ რეჟიმს, რევოლუციურად განწყობილ მოსწავლეებთან ერთად ხშირად მონაწილეობდა ფარული მარქსისტული წრეების მუშაობაში, მოსწავლეთა არალეგალური კრებების მომზადებასა და ჩატარებაში.

1903 წელს ქალაქის ბაღში საშა წულუკიძისა და იცკას ორგანიზატორობით გაიმართა მუშათა, ხელოსანთა და მოსწავლეთა პირველი მაისობა, რომლის დროსაც მშრომელი კაცობრიობის დიადი მომავლის შესახებ მათ სიტყვებით მიმართეს ხალხს.

პარტიის II ყრილობის შემდეგ იცკა მტკიცედ დადგა ვ. ი. ლენინის, ბოლშევიკების მხარეზე. ვ. ი. ლენინში იგი ხედავდა ნამდვილი მარქსისტული პარტიის შემქმნელს, ბელადს, მასწავლებელსა და კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მგზნებარე მებრძოლს. ქუთაისის გარეუბნებში იცკამ გააკეთა მოხსენება იმ ბრძოლის შესახებ, რომელიც გასწია ლენინმა ახალი ტიპის მარქსისტული პარტიის შექმნისათვის, მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლზე თვითმპყრობელობისა და კაიტალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლაში.

იცკა ოცნებობდა უმაღლესი განათლების მიღებაზე. რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1904 წლის ივლისში გაემგზავრა გერმანიაში და სწავლა განაგრძო ლაიფციგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. აქ იგი ერთობ ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ ამის მიუხედავად მაინც ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. სწავლობდა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების შრომებს, ისტორიულ, ეკონომიკურ და ფილოსოფიურ ლიტერატურ ა ს, ამავე დროს ეწეოდა არალეგალურ პოლიტიკურ მუშაობას. იცკა დაუკავშირდა მოწინავე სტუდენტებს და შეიქმნა ბოლშევიკურ ჯგუფში, რომელშიც თავმოყრილი იყვნენ ამ მცხოვრები ქართველი რევოლუციონერები. ჯგუფი უშუალოდ იყო დაკავშირებული ლენინთან, „ისკრის“ რედაქციასთან, ხოლო შემდეგ, როცა გაზეთი „ისკრა“ მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელთ, იგი დაუკავშირდა ბოლშევიკურ გაზეთ „ვპერიოდის“ რედაქციას. იცკა აქტიურად მონაწილეობდა რუსეთსა და საქართველოში არალეგალური ლიტერატურისა და ბოლშევიკური გაზეთების შემოტანაში.

ᲰᲘᲠᲝᲡᲘᲛᲐ:

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲛᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲔᲡ

ᲰᲘᲠᲝᲡᲘᲛᲐ. ᲰᲘᲠᲝᲡᲘᲛᲘᲡ ᲐᲗᲐᲡᲝᲑᲘᲗ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲛᲘᲗᲐᲛᲐᲜᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲝᲡ-ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲘᲗ

აჟღერდება საესტრადო სიმღერა

საქართველოს საესტრადო კოლექტივების დათვალიერება მოეწყობა სექტემბრის მეორე ნახევარში თბილისში.

ქართული საბჭოთა საესტრადო სიმღერის ფესტივალს აწყობენ რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, საქსტელერადიო, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, კომპოზიტორთა კავშირი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია, გრამჩაწერის საკავშირო ფირმის „მელოდიის“ საქართველოს განყოფილება.

დღესასწაულის ცენტრი გახდება ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც თავის ხელოვნებას აჩვენებს თოთხმეტი საუკეთესო საესტრადო კოლექტივი. მათ შორის მარჯანიშვილის სახელობის აკადემიურ თეატრთან არსებული როკ-ჯგუფი „თეატრონი“, საქართველოს სახტელერადიოს საესტრადო სიმფონიური ორკესტრი, პოპულარული ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლები „ივერია“, „ორერა“, „75“, „რერო“, სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივები.

სიმღერის მოყვარულნი შეხვდებიან ნინი ბრეგვაძის, ეთერ კაკულიას, ნანული აბესაძის, ვალერი ლომსაძის, თამარ გვერდწითელის, მანანა თოდაძის, აგრეთვე ახალგაზრდა სოლისტების ხელოვნებას. საფესტივალო კონცერტებზე აჟღერდება სიმღერები, რომლებიც მსმენელებმა შეიყვარეს, ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებები.

დათვალიერების მოწყობა კიდევ ერთი პრაქტიკული პასუხია „რესპუბლიკაში საესტრადო ხელოვნების შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაზე. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ თბილისში გაიმართა საბჭოთა სიმღერის საკავშირო ფესტივალი ქვეყნის ყველა კუთხის წამყვანი სოლისტი შემსრულებლების მონაწილეობით, საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალი, ახალციხეში — ახალგაზრდული ფილარმონიული კოლექტივების რესპუბლიკური დათვალიერება.

წინა დათვალიერებებისაგან განსხვავებით, წლევანდელს თავისი თავისებურებები აქვს. მის დაწყებამდე საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია აწყობს „ღია კარის დღეებს“. აქ მოიწვევენ იმთა, ვინც სურვილს გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს სიმღერის საშემოდგომო დღესასწაულში. თუ წინასწარ მოსმენაზე ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებიც ფილარმონიის კონცერტმაისტერებთან მოამზადებენ რამდენიმე სიმღერას, დადებით შეფასებას მიიღებენ, მათ „ახალგაზრდობის დებიუტის“ კონცერტების მონაწილეთა შემადგენლობაში შეიყვანენ.

(საქინფორმი).

მსოფლიო ჩემპიონობის ჭადრაკში

... ფესტივალი

... პარტია

მეოთხე პარტია ამ მატჩში გათამაშებულთაგან ყველაზე უფრო მძაფრი აღმოჩნდა. აქ ყველაფერი იყო: სადებიუტო დავა, ღრმა პოზიციური მანევრები, დინამიკურობა, სიმწვავე...

ნიმცოვიჩის დაცვის შედეგად ორივე მხარემ ის მიიღო, რაც სურდა: კასპაროვმა — ორი კუდა ინიციატივა, კარპოვმა — მტკიცე პოზიცია და შუა თამაშში მეტოქის ლაზიერის ფრთაზე წარმოქმნილი სისუსტეების გამოყენების შესაძლებლობა. საქმე ის იყო, ვინ უფრო თანამიმდევრობით შეძლებდა თავისი გეგმის განხორციელებას და მეტოქის კონტრარგუმენტების უარყოფას. თუ დასაწყისში მეტოქეები საკმაოდ სწრაფად თამამობდნენ, შემდეგში მათ არაერთგზის მოუხდათ ჩაფიქრება.

მას შემდეგ, რაც მიტელშპილში კასპაროვმა ლაზიერის ფრთაზე შეძლო თავისი სუსტი პაიკის გაცვლა, კარპოვი უარეს პოზიციაში აღმოჩნდა. თეორები თანდათან აძლიერებდნენ პოზიციას, ექსჩემპიონი კი იძულებული იყო ფაქტობრივად ყრუ დაცვით შემოფარგლულიყო. ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, კასპაროვი ეტლით შეიჭრა შავების განლაგებაში და პაიკი მოიგო. კარპოვი თავს მისთვის ჩვეული შეუპოვრობით იცავდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სხვა ფაქტორებთან ერთად თეორების უპირატესობას ისიც განაპირობებდა, რომ მთ ლაზიერის ფრთაზე კიდურა გამსვლელი პაიკი აამოძრავეს. მისი წინსვლა პარტიის ბედს გადაწყვეტდა, ამიტომ ექსჩემპიონს რაიმე უნდა ეღონა.

ბარტია გადადგდო. კასპაროვმა 41-ე სვლა ჩაიწერა, მის მხარეზე მატერიალური და პოზიციური უპირატესობაა, კარპოვს პირველი დამარცხება ემუქრება.

მეოთხე პარტია
კასპაროვი — კარპოვი
ნიმცოვიჩის დაცვა

1. d4 Აf6 2. c4 e6 3. Გc3 ᲒB4 4. Აf3 c5 5. g3 cd 6. Ა:d4 0—0 7. ᲒG2 d5 8. ᲒB3 ᲒC6+ 9. bc ᲐC6 10. cd ᲐA5 11. ᲒC2 Ა:d5 12. ᲒD8 ᲒD7 13. c4 ᲐE7 14. 0—0 ᲒC8 15. ᲐB3 Ა:c4 16. ᲒB7 ᲒC7 17. ᲒA6 ᲐE5 18. ᲒE8 ᲐC4 19. ᲒE4 ᲐD6 20. ᲒD8 ᲒC6 21. ᲒA8 ᲒC8 22. ᲒC8 ᲐD:c8 23. ᲒFD1 ᲒD8 24. ᲒD8 ᲒE8 25. ᲒAD1 f6 26. ᲐD4 ᲒB6 27. ᲒC5 ᲒA6 28. ᲐB5 ᲒC6 29. ᲒE7 ᲐE7 30. ᲒD7 ᲐG6 31. ᲒA7 ᲐF8 32. a4 ᲒB8 33. e3 h5 34. ᲐG2 e5 35. ᲒD8 ᲐG7 36. ᲒC8 ᲒBC8 37. ᲒC6 ᲒC6 38. ᲐC7 ᲐE6 39. ᲐD5 ᲐG6 40. a5 e4. ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝ. **კასპაროვმა ჩაიწერა სვლა.**

ᲒᲣᲨᲘᲜ თამაშის განუახლებლად კარპოვმა თავი დამარცხებულად ცნო. მატჩის განგარიშია 2,5:1,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

გ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲘᲚᲘ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲛᲝᲠᲐᲚᲘ

მკითხველს თავიდანვე მინდა შევუთანხმდე: თუმცაღა წინამდებარე წერილში გზადაგზა შეხვდება ცნებებს — კანონი, სამართალი, განაჩენი, პროცესი, აღსრულება, საბოლოო სიტყვას იურიდიულ კატეგორიებს ნუ დავუტოვებთ. სასურველია უფრო მეტი მნიშვნელობა ამას მიეცეს, რასაც კანონის ჩარჩოები ვერ იტევს და რასაც უფრო სხვა საზომი აქვს — ზოგადადამიანური. მინდა ერთხელ კიდევ შევხედოთ იმას, რაც ერთხელ და სამუდამოდ ყველაზე ძვირფასად მიიჩნიეს ადამიანებმა — ადამიანთა ურთიერთობებს, თუკი საერთოდ დასაშვებია ამ ურთიერთობის ყველაზე წმინდა და სანუკვარი ფორმის — დედაშვილურ და მამაშვილურ დამოკიდებულებათა ჩვეულებრივ, რიგით ადამიანურ ურთიერთობებთან გამოლიანება.

და თუ ამის შემდეგ თუნდ ერთი ან ორი ადამიანი ჩაიხედავს თავის თავში ღრმად, თუნდ ორ კაცს გაუღლვება სულში ყინული და მიზეზთა და მიზეზთა გამო აქამდე გაუხეშებულ სათუთ სიმებს მგრძნობელობა დაუბრუნდება, ავტორი მიზანს მიღწეულად ჩათვლის.

— · —

შარშან გაზაფხულზე რედაქციაში შემოვიდა ქ. რუსთავში ქაშაკაშვილის ჩიხის № 5 სახლში მცხოვრები მერაბ მიხეილის ძე მაისურაძის განცხადება, რომელშიც იგი წერდა: „ჩემი მშობლები 1958 წელს განქორწინდნენ, რუსთავის სახალხო სასამართლომ მათ მიერ ერთად ცხოვრების დროს აშენებული ბინა ორ ნაწილად გაყო. მარჯვენა მხარე თავის ეზოს ნაკვეთიანად მიაკუთვნა დედაჩემს — ვერა მაისურაძეს, ხოლო მარცხენა — მიხეილ მაისურაძეს“. როგორც წერილიდან ირკვევა, სასამართლოს მიერ სახლის გაყოფის თაობაზე სწორად გამოტანილი გადაწყვეტილება არასწორად აღსრულებიათ, რის შედეგადაც ვერა მაისურაძეს მიუღია არა კუთნილი ფართობი, არამედ გაცილებით უარესი, და ეს იმიტომ, რომ სახლს გაყოფის დროს / მიუდგენენ არა ფასადის მხრიდან, როგორც ამას მსგავს სიტუაციებში წესი და რიგი თვალისწინებს, არამედ სულ სხვა მხრიდან, „საიდანაც მიხეილ მაისურაძეს აძლევდა ხელს, რათა ბინის უფრო დიდი და უკეთესი ნაწილი მას შეხვედროდა. გამოვიდა ისე, რომ მისი ოთახის ფანჯრები ჩვენს ეზოში გაიხედის, ამასთან ჩვენი ოთახის ქვეშ მისი სარდაფია. ასე არეულად გაყოფილი ბინის არც გაცვლა ხერხდება, არც ერთმანეთისაგან სრული იზოლაცია, არადა, ჩვენი ასე ცხოვრება შეუძლებელია, რადგან დამოკიდებულება ჩემსა და მის ოჯახს შორის მეტისმეტად დაძაბულია“.

მერაბ მაისურაძის წერილს თან მეზობლების კოლექტიური განცხადება ახლავს, სადაც ისინი რედაქციას დახმარებას სთხოვენ — ამ ხალხს რაიმე უშველეთ, რაიმე ფორმით დაეხმარეთ ამ გაუთავებელი დავის გადაჭრაში, სანამ კიდევ რაიმე უბედურება არ დატრიალებულაო. ამ ოჯახის არაჯანსაღმა ატმოსფერომ — ერთი ადამიანის სიცოცხლე რომ შეიწირა — მაისურაძეების უფროსმა ქალაშვილმა 1963 წელს თვითმკვლელობით დასრულა თავისი სიცოცხლე — საკმარისზე მეტია. ახლა მაინც ეგებ მოინახოს გამოსავალიო.

შვილის წერილზე ცოტა ადრე მამის საჩივარი შემოვიდა რედაქციაში, ოღონდ შეურიცხყოფა მომაყენა და დასაჯეთო. ამხანაგურ სასამართლოზე გაკიცხეს და მანაც გულწრფელად მოინანია თავისი საქციელი, მაგრამ მამამ ეს სასჯელი მეტისმეტად მსუბუქად ჩათვალა და ცოტა ხნის შემდეგ საჩივრების ახალი სერიალი წამოიწყო, რომელსაც მეზობლების მიერ საქართველოს სსრ პროკურატურის სახელზე გაგზავნილი განცხადება დაედო საფუძვლად. განცხადებაში დაახლოებით იგივე თხოვნა იყო, რაც რედაქციაში გამოგზავნილ ბარათში.

რას იფიქრებდნენ მაისურაძეების მეზობლები შუშანა გრძელიშვილი და ამირან ხურციძე, როცა სხვა მეზობლებთან ერთად განცხადების ტექსტს ადგენდნენ, რომ მათი კეთილი სურვილი, ხალხს როგორმე დაწყნარება-დამშვიდებაში მოხმარებოდნენ, მათსავე საწინააღმდეგოდ შეტრიალდებოდა და ერთ დღეს განსასჯელის სკამზე აღმოჩნდებოდნენ. რუსთავის სახალხო სასამართლომ მიხეილ მაისურაძის საჩივრის საფუძველზე, ქალსმწამებლურ ხმებს მივრეკლებენო, მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, განსასჯელის სკამზე მეზობლების გვერდით აღმოჩნდა მომჩივნის ქალიშვილიც პირველი ქორწინებიდან ლილი მაისურაძე.

მაინც რა ეჩვენა ქალსმწამებლურად ზემოხსენებულ განცხადებაში მიხეილ მაისურაძეს? პროცესის მსვლელობის დროს არაერთხელ მიუბრუნდნენ განცხადების ტექსტს, არაერთხელ წაიკითხეს, თავადაც ვატრიალე ხელში ეს ფურცლები, მაგრამ მასში ქალსმწამებლური მარცვლის აღმოჩენა ვერ მოხერხდა. „1958 წელს ვერა და მიხეილ მაისურაძეები

ᲐᲗᲕᲚᲘᲡ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ

ლილი მიხეილის ასულ მაისურაძე-ბაკალავას ჩვენებიდან: „ვხედავ საბრალებო სკამზე — ამასაც მოვეკლესწარი, ამ ქალისაგან (საკუთარ მამაზეა ლაპარაკი), ეს სიკეთეეა მაკლდა — და ვფიქრობ: მორჩება როდესმე ბაღანური ჩემს ოჯახში? ბავშვობაში ვფიქრობდი, როდის გავიზრდებიდი, ჩემი ოჯახი მექნებოდა, საკუთარი მამისაგან დამცველი მეყოლებოდა. ასეც მოხდა, ჩემი ვერა მაქვს, მაგრამ ძმას ამ ამბავში რომ ვხედავ, რა მომასვენებს.

მთელი სიცოცხლე ამ ყოფაში ვყავართ. ჩვენი — ჩემი და ჩემი და-ძმების გამწარებული ბავშვობა სულ მაგის სინდისზეა. ბავშვობიდან ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჩემთვის უარყოფითია. ეს გოგოები — ე. ი. მე და ჩემი უბედური და — ჩემი შვილები არ არიან და დაბადების მოწმობები გაიუქმეთო, პრინციპულად მოითხოვდა. თითქოს ის არ გვეყოფოდა, ყოველდღე მშობლებს შორის გაუთავებელი უსიამოვნების მოწმენი რომ ვიყავით. მახსოვს, ერთმანეთს რომ სცილდებოდნენ, ქონების გაყოფის დროს თეფშების რაოდენობა კენტი აღმოჩნდა, ერთი თეფში გატეხა მაშინ მაგან, არც მე, არც თქვენო.

— ვინ გატეხა თეფში? — დაახუსტეს პროცესზე.

— მიხეილ მაისურაძემ.

ციხესწამებად რა მიაჩნია ამ ქაცს, არ ვიცი. ოღონ მაისურაძე რა შუაშია! ჩემი მშობლები ერთმანეთს რომ დაშორდნენ, ეგენი არც კი იცნობდნენ ერთმანეთს. ვინ აბრალებს მაგათ ამას?

არც ლოლა მოუკრავს თოფით... არც მაგას ვაბრალებთ...“

ლილის ყელში ბურთები ეჭედნება, ლაპარაკს ვეღარ აგრძელებს...

— მე რა შუაში ვარ, ის გოგო (ის გოგო ღვიძელი შვილია მისი) ჯერ ავად რომ გახდა, მერე თავი რომ მოიკლაო... — თავს შორს იჭერს მიხეილი.

როგორ შეიძლება მოკლა ადამიანი? იარაღით? საწამლავით? ენით?

შუშანა გრძელიშვილის ჩვენებიდან: „მარტო ახლა კი არა, მთელი ცხოვრება ამ დღეშია ეს ქაცი. სულ ჩივის. ერთხელ იჩივლა, მაგალითად, ის ქალი (ვერა მაისურაძე) ცოლად არ მინდოდაო, შემომაჩეჩის და ქორწინება ბათილად სცანითო. საქმე კურიოზებამდეც კი მიდიოდა. მიხეილ მაისურაძემ ერთხელ სასამართლოში იჩივლა, გოგოებს ჩემი გვარი წაართვითო და... სასამართლომაც გადაწყვიტა: აეკრძალოთ ლილი და ლოლა მაისურაძეებს მამის გვარის ტარება, მიეცეთ მათ დედის გვარი — მაისურაძე. საქმე ის გაზლავთ, რომ მიხეილის მეუღლის — ვერას ქალიშვილობის გვარიც მაისურაძეა.

ერთი სასამართლო პროცესი მახსოვს, კატეგორიულად განაცხადა, არ არიან ესენი ჩემი შვილებიო. ბიჭებიც უარყო მაშინ. ლოლა უკვე ყმაწვილი იყო, ესმოდა, რასაც ნიშნავდა ეს შეურაცხმყოფელი განცხადება. ფერი დაკარგა, წამოხტა, მკლავი გაიშიშვლა, აჰა ამოღეთ სისხლი, ერთხელ და სამუდამოდ გავიგოთ ვისი შვილი ვარო. მოწიფული გოგონა კი იყო, მაგრამ იმდენი მაინც არ ესმოდა ჯერ, რომ ასე ვერც ვერაფერს დამტკიცებდა და ვერც უარყოფდა. მეორე დღეს ავად შეიქნა, საავადმყოფოში მოათავსეს, კარგა ხანს მკურნალობდნენ...“

მიხეილ მაისურაძის კატეგორიულმა მტკიცებამ, ვერა მაისურაძის შვილები ჩემი ქალიშვილები არ არიანო, ონის რაიონის სოფელ წეროსში ჩამოჯდა მის დიბთან. ამ სოფელში არიან ცოცხალი მოწმეები ვერა და მიხეილ მაისურაძის ქორწინებისა, შვილების დაბადებისა, ლოლას თვითმკვლელობისა. ამიტომ ჩემი შეკითხვის — არიან თუ არა ეს ადამიანები მიხეილის შვილები— არსის ბოლომდე გაიზრება გუბეჩირდათ. აბა ვინ არიანო. მიხეილის დას ვარინეას განაწყენებაც შეეგიმჩნიე, მაინც ადამაინც ტაქტიანად ვერ ჩამითვალა საკითხის ასეთი დასმა. ჩემი ძმისწულები არიან, მაშ რაო... როცა გაიგო, მე მხოლოდ მისი ძმის ნათქვამს ვიმეორებდი, ჯერ უნდოდ შემომხედა, მერე უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, ვიდრე სხვის გასაგონად, გაგიეტებულია ჩემი ძმაო, ხელი ჩაიქნია და წავიდა.

ბევრი არ სჭირდება ენას იმისათვის, რომ ჯელეფერი თქვას. სინდისის მობლაგვება სრულიად საკმაოსია. სინდისთან კომპრომისზე წასული კაცისაგან კი ყველაფერს მოელოდე.

მერაბ მიხეილის ძე მაისურაძის ჩვენებიდან: „ჩემი ოჯახი რომ გაიზარდა — ჯერ ერთი შვილი გვეყოლა, მერე მეორე, მესამე — ორ პატარა მოოწყობილ ოთახში მეტისმეტად გაგვიჭირდა და გადავწყვიტე ჩვენი საერთო ავნოს ის ნაწილი, ჩემი ოთახის წინ რომ გადიოდა, ოთახად ამომეშენებინა. ავიანის ფართობი საოთახედ ნამეტანი მცირე იყო. ოც-ოც სანტიმეტრს სამშენებლო ბლოკი დაიკავებდა და სულ აღარაფერი რჩებოდა. ამიტომ პატარაზე შევცოდე. მიშა მაისურაძის მხარეს კედელი ისე ამოვაშენე, რომ ბლოკები მის ფართობზე დავაწყვე, რომ ის ო�oდე სანტიმეტრი მაინც მიმატებოდა ჩემს ოთახს, რომელიც ბლოკის სიგანეს უნდა დაეჭირა. მთელი დღე გაუჩერებლად ვიმუშავე, ვიფიქრე, ამდენ ნაჯაფარს რომ შეხედავს, ეგები შეგებრალო და არ დამანგრევნოს-მეთქი. საღამოს ის-ის იყო დავასრულე კედლის მშენებლობა, რომ მოვიდა...“

დაანგრევინა. საკუთარი ხელით დაანგრევინა თავის აშენებული.

ეგეთი გამწარებული მე ეს კაცი არ მინახავსო, სასამართლოს პროცესზე მოწმე სიმონ ხიზანიშვილმა თქვა. მთლად დაკარგა წონასწორობა, რომ არ დაგვეჭირა, მტკვარში ვარდებოდაო. (ღმერთმა დაიფაროს, ასე რომ მომხდარიდო, მამა ერთხელ კიდევ იტყოდა, მაგან თავი მოიკლა, მე რა შუაში ვარო).

როგორ შეიძლება მოკლა კაცი? საეჭვოელია ამისათვის თოფი ისროლო? თუ ყველა-ყველ სამსალა უფრო საშინელია...

მაშინ იყო, ხელი რომ შემოჭრა მამას (შევნიშნე, არც პროცესზე, არც მანამ, არც მის შემდეგ არც ერთ შვილს მისთვის მამა არ უწოდებია). (ეემა გმართებს გამზრდელისაო, არ შეიძლება არ გაგახსენდეს. არა. არც ეს და არავითარი მსგავსი შინაარსის სხვა სენტენცია მერაბის საქციელს ვერ გაამართლებს — რაგინდ ძლიერ მოგიცვდეს ნერვეული მუხრუჭები, თუგინდ იგივე მშობლის მიზეზით, მასზე ხელის აღება... მიხეილ მაისურაძე, როგორც მშობელი, შეიძლება უარეს სასჯელსაც იმსახურებს, მაგრამ არა შვილის ხელით.

სასამართლოს განაჩენით (მან კი ასეთი ფორმულირება მიიღო: მიეკვლის მიხეილ მაისურაძის ყურადღება მის მიერ სოციალისტური თანაცხოვრების დარღვევის ფაქტებს. კერძო განჩინება განსახილველად გაეგზავნოს სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს) განაწყენებული მიხეილ მაისურაძე ახლა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს აუწყებს თავის პრეტენზიას. მაგრამ განაჩენი აქ უცვლელი დატოვეს. უმაღლეს სასამართლოში მის მიერ გაგზავნილი საჩივრის განსაკუთრებით ყურსმოსახვევი ფრაზები: „სასამართლოს მსვლელობის დროს დაბარებული იყვნენ მოწმეებად ჩემი ყოფილი შვილები მერაბი და მისი უმცროსი ძმა თენგიზი...“ „ჩემ კმაყოფაზე იყვნენ მაგენი, მე ვაშენებდი პურს...“ ბარი-ბარში არიან მამაშვილნი. შვილები მამას არ უწოდებენ მას, ის კი მათ — შვილებს. რა მწარე თამაშია!..

არ მოსწონს ის გადაწყვეტილებები, სადაც სიმართლეს ეუბნებიან, სამაგიეროდ კმაყოფილია სახლის გაყოფის აღსრულებისა. „საკმე განხილულია, გადაწყვეტილება სისრულეშია მოყვანილი, რამდენიმეჯერ გადამოწმებულიც არის იგი და ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანიაო“, ამბობს, მაგრამ როცა ეს ხელს აძლევს, ეტყობა, მიხეილს მიხსენერება ფალატობს. ის თუ დაავიწყდა ან არ უნდა გიახსენოს, რომ სასამართლოს სწორი გადაწყვეტილება თავიდანვე არასწორად აღასრულეს, ისიც აღარ ახსოვს განა, რომ 1976 წელს რუსთავის სახალხო სასამართლომ თავიდან განიხილა ეს საქმე და დაადგინა, ამ გადაწყვეტილების უსწორობა. დადგენით კი დადგინდა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა. ხელმეორედ აღსრულებაზე აღარავის უზრუნია.

ასეა. კანონი კანონია და მისი განუხრელი, ბოლომდე და სრულად დაცვა თუ ჯელეფერ თავის მოქალაქეობრივ ვალად არ მიიჩნია, ანარქია იწყება. უპირველესად კი ეს იმათი ვალია, ვისი პროფესიაც კანონის სამსახურს, მის აღსრულებას გულისხმობს. თორემ სიმართლისთვის თვალის თუნდ წამიერად მოხუჭვას რა შეიძლება მოჰყვეს, ამაზე მაისურაძეების ოჯახის ოცდაშვიდწლიანი დაუმთავრებელი დავა კარგად მეტყველებს.

იქ, სადაც დაუწერელი კანონები შეუვალია, სამართალს ცოტა საქმეღა რჩება. ადამიანს (ნამდვილ ადამიანს, და არა ყველას, ვისაც ეს სიტყვა ჰქვია) ყოველ წუთს არ სჭირდება შეხსენება — კაცი არ მოკლა, არ იქურდოს. დანაშაული და სასჯელი მისთვის იმგვარი ცნებებია, რომლებიც არსებობს, შინაარსი აქვს, მაგრამ პირადად მასთან შეხების წერტილი არ მოეძებნება. ამგვარი კანონები კი უპირველესად მშობლებსა და შვილების ურთიერთობაში უნდა არსებობდეს. ჩვენ ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო, ამ ერთხელ ნათქვამი და ასჯერ გამეორებული ფრაზის სიცოცხლისუნარიანობას მისი ტევადი შინაარსი და უფაქიზესი შინაგანი ნერვი განაპირობებს. იქიდან, ბავშვობის განუმეორებელი წლებიდან გამოყოლილი საგზლით მოვდივართ დიდხანს, სიცოცხლის ბოლომდეც კი. უფრო მეტიც, სამყაროს შეცნობას ხომ მშობლებით ვიწყებთ. დედის, მამის სიყვარულით მოდის შემდგომ სამშობლოს, მიწის, ადამიანის, მშვენიერების, ამაღლებულის სიყვარული, მისდამი სწრაფვა, მოვალეობის გრძნობა, ამიტომაც ბავშვობის წლები ბუნებრივად იქცევა ამ ერთგვარ ათვლის წერტილად, საიდანაც ადამიანი ან დაღმა, ნულს ქვემოთ უნდა დაქანდეს და ან კაცად იქცეს. ამიტომაც იმაზე, თუ რას და როგორ ვაძლევთ შვილებს ამ დროს, ბევრად ხდება დამოკიდებული, როგორ წევრს მიიღებს ხვალ საზოგადოება. ამიტომ მინდოდა ერთხელ კიდევ ჩაგვეხედა საკუთარ თავში, შეგვეხედა ჩვენი შვილებთან დამოკიდებულებისათვის, ყოველთვის სწორად ვირჩევთ პოზიციას მათ გვერდით? მთელი დღის ნაამაგარს, ნასათუთევს საკუთარი ხელით ვაშლევინებთ თუ ყოველმხრივ ვეხმარებით ათვლის წერტილიდან ზეიმაღლებაში.

გალინა ხარებაშვილი.

მინსალეგ გამოცდებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე.
ი. შლამოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲜᲘ

ᲙᲕᲐᲜᲘᲨᲘ გაიმართა ახალგაზრდა მეშახტეთა რესპუბლიკური კონკურსი „პროფესიაში საუკეთესოს“ სახელის მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობდნენ ქალაქების ტყიბულის, ტყვარჩელის, ახალციხის, ჭიათურის, დაბა კვაისის ახალგაზრდა მეშახტეები და მაღაროელები.

შეჯიბრება თეორიული ცოდნის შემოწმებით დაიწყო. ყველა საკითხს ამომწურავი პასუხი გასცეს კვაისის, ჭიათურის და ტყვარჩელის წარმომადგენლებმა. შემდეგ ახალგაზრდა ზეინკლები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ელექტროსადენის გაწელაში, ფაზების ზუსტად გადაბმასა და საიზოლაციო ლენტის სწრაფად დახვევაში. აქ პირველ ადგილზე გამოვიდა კვაისელი სოსლან დხუმაევი, მეორე-მესამე ადგილები წილად ხვდათ ტყიბულელ გია ქობულაძეს და ტყვარჩელელ ოლეგ ჯოკუას.

დიდი ინტერესი გამოიწვია გვერაბგამყვანებისა და გამმგრებლების შეჯიბრებამ. გამმაგრებლებიდან უსწრაფესად შეასრულეს კონკურსით გათვალისწინებული სამუშაო და საუკეთესონი აღმოჩნდნენ ჭიათურელები ნუგზარ გურული და თეიმურაზ გურული. მათ გასამგრებელი ჩარჩო 30 წუთის ნაცვლად 27 წუთში გააკეთეს და კიდეც გაიმარჯვეს, მეორე ადგილი წილად ხვდათ კვაისელებს, მესამე — ახალციხელებს.

შახტის ბურღვაში საუკეთესონი იყვნენ კვაისელები.

(„კომ“. კორ.)

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ

ᲕᲐᲜᲘ (საკ. კორ.). გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმში გაიმართა „წიგნის ზეიმი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს შუამთის საბავშვო ბიბლიოთეკისა და კულტურის სახლის, ტიციან ტაბიძის სახლ-მუზეუმის მუშაკებმა და მკითხველებმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲖᲦᲕᲐ, ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ...

ეს თვე, ალბათ, თბილისში ყველაზე ცხელია. ტემპერატურა 30 გრადუსს აღემატება ხოლმე, და თბილისელები სიგრილეს ეძებენ — ადიან მთაწმინდაზე, ისვენებენ პარკებისა და ბაღების ჩრდილოვან ხეივნებში, ლისის ტბის, თბილისის ზღვის, კუს ტბის ნაპირებზე, სადაც უფრო ადვილი გადასატანია სიცხე.

თბილისის ხელოვნური ზღვის პლაჟები ამ დღეებში შავი ზღვის პლაჟებს მოგვაგონებენ. ათასობით დამსვენებელი — თბილისელები და ქალაქის სტუმრები ბანაობენ, იღებენ ბზის აბაზანებს, სეირნობენ გლისერებითა და ნავებით.

სურათებზე: დამსვენებელთა განკარგულებაშია სასეირნო ნავები; თბილისის ზღვაზე; თბილ წყალში...

ᲛᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲘᲜᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲡᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲐ